



## რეკომენდაციები პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების შემუშავებისათვის

პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების  
ხარისხის უზრუნველყოფის ქვეპროგრამა



I  
იურიდიული პირის სახელწოდება



II  
ლოგო (არსებობის შემთხვევაში)

### 1. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება



პროგრამის სახელწოდება (სასწავლო დაწესებულების შემთხვევაში) არ უნდა იმეორებდეს იმ ავტორიზებული პროგრამის სახელწოდებას, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია მომზადება/გადამზადების პროგრამა

პროგრამის სახე  
 მომზადება  გადამზადება



ამ გრაფაში უნდა დაკონკრეტდეს იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი პროგრამა ითვალისწინებს მსმენელთა პროფესიულ მომზადებას თუ პროფესიულ გადამზადებას

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე  
 2  3  4  5



ამ გრაფის შევსებისას უნდა იხელმძღვანელოთ პროფესიული მომზადების პროგრამის ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამის სწავლის შედეგების ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობის დადგენის მეთოდოლოგიით იხ. <https://eqe.ge/geo/static/771/>, თუმცა დონის არასწორად მითითება არ ჩაითვლება ხარვეზად და გასწორდება ცენტრში

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში



პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე გონივრულად უნდა იყოს განსაზღვრული პროგრამის ხანგრძლივობა

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა



ამ გრაფაში უნდა ჩაიწეროს კვირაში საათების რაოდენობა დღეების მიხედვით

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში

მინიმალური -----

მაქსიმალური -----



აღნიშნულ გრაფებში უნდა მიეთითოს პროგრამით გათვალისწინებული მსმენელთა რაოდენობა (ჯგუფების რაოდენობის მითითებით)

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები



საბაზო/სრული ზოგადი, ასაკი და სხვ. თქვენი პროგრამის, დარგის/სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე ასევე შეგიძლიათ დააწესოთ დამატებითი მოთხოვნები (ავტორიზებული პროგრამებიდან დამატების/უფლების მოპოვების შემთხვევაში ის მინიმალური წინაპირობები უნდა გადმოვიდეს, რაც არის ავტორიზებულ პროგრამაში, ანუ იმ წინაპირობაზე ნაკლები არ უნდა იყოს)

პროგრამის მიზნები



მოკლედ, ლაკონურად უნდა ჩამოყალიბდეს პროგრამის მიზნები, რომელიც უნდა იყოს პროგრამის სახელწოდებასთან თავსებადი, გასაგები. არ უნდა იყოს შეცდომაში შემყვანი

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)



სწავლის შედეგები ჩამოყალიბებული უნდა იყოს ჩარჩოს ელემენტების მთავარი ასპექტების ზოგადი აღმწერის შესაბამისად დონეების მიხედვით (სწავლის შედეგები უნდა გამომდინარეობდეს ავტორიზებული პროგრამიდან, იმ შემთხვევაში, თუ იურიდიული პირი/დაწესებულება შეიმუშავებს მომზადება/გადამზადების პროგრამას ჩარჩო დოკუმენტიდან/პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან)

პროგრამის შემუშავების საფუძველი



ამ გრაფაში მიეთითება ის საფუძვლები, რომლებიც კონკრეტული პროგრამის შემუშავებისას იქნა გამოყენებული (იურიდიული პირებისთვის ან/და სასწავლო დაწესებულებებისთვის)

1. პროფესიის სტანდარტი;
2. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი;
3. მოდული/მოდულები;
4. საქართველოს კანონმდებლობით ან/და საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებით ან/და სხვა საერთაშორისო აქტებით კონკრეტული სფეროს რეგულირებისთვის დადგენილ მოთხოვნებს;
5. დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორ ISCO-08-ს ან/და საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი ეკონომიკური საქმიანობის სახეების შესახებ (იურიდიული პირი აღნიშნულ კლასიფიკატორებში ახდენს იმ პროფესიის/პროფესიების იდენტიფიცირებას, რომლებიც დაკავშირებულია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის/პროგრამების შინაარსთან)

პროგრამის მოკლე აღწერა



აღნიშნული ინფორმაცია უნდა იყოს მოკლე, გადმოცემული მარტივი და გასაგები ენით. კარგად უნდა ასახავდეს პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან კავშირს.

მაგ: პროგრამის ხანგრძლივობა, საათების რაოდენობა, კვირეული დატვირთვა, სწავლა/სწავლების მეთოდები, შეფასების მეთოდები და სხვ.

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ პროგრამა/ებზე რეგისტრაციის დროს აღნიშნული ინფორმაცია იქნება საჯარო.

## 2. პროგრამის შინაარსი

სასწავლო კვირა	თემატიკა	თემატიკის შესაბამისი სწავლის შედეგების ნომრები	კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა	სწავლების მეთოდი/ები	შეფასების მეთოდი/ები (მიმართულება)	სასწავლო გარემო
				დანართი 1	დანართი 2 (შეფასების მიმართულება უნდა იყოს იგივე, რაც ავტორიზებულ პროგრამაში)	აღწერეთ ის სასწავლო გარემო, სადაც განხორციელდება მომზადება/გადამზადების პროგრამა

## დანართი 1 - სწავლა/სწავლების მეთოდები



ინტერაქტიული ლექცია;  
სემინარი;  
ინტერაქტიური სწავლა;  
ურიერთთანამშრომლობითი სწავლა;  
ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება;  
დემონსტრირება;  
პრაქტიკული სავარჯიშო;  
პროექტებით სწავლება;  
სიმულაცია, ანუ როლური თამაში;  
პრაქტიკული მეცადინეობა და სხვ.

## დანართი 2 - შეფასების მეთოდები

**გამოკითხვა – ზეპირი ან/და წერილობითი მტკიცებულება**

ა) ზეპირი: პროგრამის განმახორციელებელი პირის მიერ შევსებული ჩანაწერი/კითხვარი/შეფასების ფურცელი ან/და ვიდეოჩანაწერი ან/და აუდიოჩანაწერი;

ბ) წერილობითი: მსმენელის წერილობით შესრულებული ნამუშევარი, რომელიც ადასტურებს ცოდნას, უნარს ან/და კომპეტენციას


გ) ელექტრონულად ჩატარებული გამოკითხვა: ელექტრონულად შესრულებული ნამუშევარი, რომელიც ადასტურებს ცოდნას, უნარს ან/და კომპეტენციას

**პრაქტიკული დაგალება დაკვირვებით - შესრულების მტკიცებულება**

პროგრამის განმახორციელებელი პირის მიერ წერილობითი ჩანაწერი/კითხვარი/შეფასების ფურცელი ან/და აუდიოჩანაწერი ან/და ქრონომეტრაჟით გადაღებული ფოტოები, რომლებიც ასახავს პროფესიული სტუდენტის მიერ დაგალების შესრულების პროცესს.

**პრაქტიკული დაგალება – პროდუქტი, როგორც მტკიცებულება**

მსმენელის მიერ შესრულებული პროექტი ან/და ვიდეოჩანაწერი ან/და აუდიოჩანაწერი ან/და არტეფაქტი ან/და ესსე ან/და ამოხსნილი კაზუსი ან/და ელექტრონული ფაილი ან/და მატერიალური დოკუმენტი და სხვა.



### 3. პროგრამის თავსებადობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან

(ივსება მხოლოდ ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის შემთხვევაში, რომელიც შემუშავებულია იმ პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლებაც დაწესებულებას მოპოვებული აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით)

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, რომლის ფარგლებშიც შემუშავებულია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა -----	
მოდულის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი	სწავლის შედეგის დასახელება და რიგითი ნომერი
მოდულის სახელწოდების, სწავლის შედეგის ფორმულირება იდენტური უნდა იყოს მოდულში მითითებულ სწავლის შედეგის ფორმულირების.	



**გისურვებთ წარმატებებს!**